

F 36-774
3



საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო

ტექნიკური აღრიცხვის და ინვენტარიზაციის განყოფილება

ინ ს ვ რ უ ქ ც ი ა

მზომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების
საბინაო ფონდის ტექნიკური კასკორტიზაციის შესახებ

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის
მინისტრის 1968 წლის 22 მაისის № 239 ბრძანებით.

თბილისი 1968

1. საერთო დებულება

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის ტექნიკური პასპორტიზაცია ტარდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 ნოემბრის № 696 დადგენილების და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსადმი 1967 წლის 30 დეკემბრის № 581 ბრძანების შესაბამისად „საბინაო ფონდის და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესებისათვის ზომების შესახებ“.

2. ტექნიკურ პასპორტიზაციას ექვემდებარება ეზოს ტერიტორიაზე ან კვარტალის შიგნით განლაგებული ყველა საცხოვრებელი სახლები, მომსახურე შენობები, ნაგებობები და კეთილმოწყობის ობიექტები.

3. ტექნიკური პასპორტიზაციის მიზანია:

ა) სახლმფლობელობის ნაკვეთზე განლაგებული ყველა შენობის და ნაგებობის (საცხოვრებელი სახლის ჩათვლით), აგრეთვე სახლის კონსტრუქციული ელემენტების და ნაწილების ტექნიკური აღწერილობა;

ბ) ძირითადი შენობის ე. ი. საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა, ცალკეული და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების ცვეთის და შენობის საერთო ცვეთის დადგენა;

გ) საეზოვე მომსახურე შენობების და ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა;

დ) შენობის კეთილმოწყობის დონის გამოვლენა;

ე) კაპიტალური რემონტის საჭიროების და მათი მოცულობის შესახებ მონაცემების გამოვლენა, ამ მონაცემების საფუძველზე 1969—1970 წლების კაპიტალური რემონტის გეგმის პროექტის მოსამზადებლად;

ვ) ქალაქების და დაბების რეკონსტრუქციის და განვითარე-





ბის პერსპექტიული გეგმების შესადგენად — მონაცემების მისაღებად;

ზ) შენობების გეგმიურ-გამაფრთხილებელი რემონტის სამუშაოების აღრიცხვის კონკრეტიზაცია;

თ) სათანადო ორგანიზაციების სტატისტიკური და სხვა საჭირო მასალებით უზრუნველყოფა.

4. საცხოვრებელი სახლის პასპორტი დგება 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან 1 ეგზემპლარი ინახება ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში და მე 2 ეგზემპლარი საბინაო საექსპლუატაციო ორგანიზაციაში (სახლმმართველობაში, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაში).

5. ტექნიკური პასპორტების შედგენის სამუშაოები ტარდება ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

6. პასპორტიზაციის სამუშაოების ხარისხიანად ჩატარების უზრუნველყოფის და მისი გაიაფების მიზნით, საექსპლუატაციო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციები ცნობებით — საცხოვრებელი სახლების რემონტის სამუშაოების მოცულობების შესახებ, სსრკ სახმშენის მიერ 1964 წლის 8/IX დამტკიცებული „საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გეგმიურ-გამაფრთხილებელი რემონტის დებულების“ შესაბამისად, დანართი 1-ის მიხედვით (შენობების საერთო დათვალიერების აქტი). ეს ცნობები უნდა გადაეცეს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 8, 9 და 10 განყოფილებების ფორმის მიხედვით, ერთ ეგზემპლიარად სამუშაოების დაწყებამდე 10-დღით ადრე.

7. ერთ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების და ნაგებობების კომპლექსზე შეივსება ერთი ტექნიკური პასპორტი „საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტის“ ფორმით. კვარტალური განაშენიანების შემთხვევაში, პირველ შენობაზე და ნაკვეთზე შეივსება ერთი „საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტი“ კვარტალის მთლიანი ნაკვეთის ფარგლებში. კვარტალის ყველა შემდგომ შენობებზე დგება ცალ-ცალკე „შენობების ტექნიკური პასპორტი“, რომელიც უნდა დაერთოს კვარტალის საქმეს თანმიმდევრობით, სპეციალური სიის მიხედვით.

15 გვ.

2012.

ფ. 1-3

II. ტექნიკური პასპორტიზაციის სამუშაოთა ორგანიზაცია და ჩატარების წესი

8. საბინაო ფონდის ტექნიკური პასპორტიზაციის დაწყებამდე ყველა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, სახლმმართველობაში, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორაში ან საბინაო სამმართველოში უნდა მოეწყოს სპეციალური სემინარი, რომელზედაც შესწავლილი უნდა იქნას ეს ინსტრუქცია, პასპორტის ფორმა, ობიექტების გამოკვლევის წესები და პასპორტში გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შეტანის წესები. სემინარებზე აგრეთვე ტარდება კონსტრუქციული ელემენტების გამოკვლევის, ცვეთის განსაზღვრის მეთოდის და პასპორტის ფორმის შევსების პრაქტიკული მეცადინეობები.

საბინაო მეურნეობის ორგანოების მუშაკებმა სემინარებზე უნდა შეისწავლონ ტექნიკური პასპორტის 8, 9 და 10 განყოფილებებში შეტანილი საკითხები.

9. ტექნიკური პასპორტიზაციის სამუშაოებზე დაიშვებიან ის პირები, რომელთაც აქვთ ტექნიკური განათლება, და არა ნაკლები 3 წლის გამოცდილების სტაჟი შენობების ტექნიკური ინვენტარიზაციის დარგში.

ის პირები, რომლებიც არ გაივლიან სპეციალურ სემინარებს ტექნიკური პასპორტიზაციის სამუშაოებზე არ დაიშვებიან.

10. სამუშაოების დაწყების წინ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ხელმძღვანელებმა, ან და მათ მიერ უფლებამოსილმა პირებმა შემკვეთ ორგანიზაციებისაგან უნდა მიიღონ:

ა) სახლმმართველობის საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის ან კომსაწარმოთა კომბინატის ბალანსზე მყოფ სახლების დისლოკაცია (განლაგება);

ბ) სადეფექტო უწყისები, ხარჯთაღრიცხვები, შესრულებულ სარემონტო სამუშაოების მიღების აქტები და შენობების და ნაგებობების ტექნიკური დათვალეობების აქტები, მათი ტექნიკური მდგომარეობის დახასიათებით;

გ) ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დასანგრევი შენობების სია;

დ) დასანგრევი ავარიული შენობების სია.



11. ძირითადი და სამომსახურო შენობების და ნაგებობების ადგილზე დათვალეირების შედეგად, ამავე დროს ტექნიკური ნაგებობების ბიუროს არქივის მასალების გამოყენების და ამ ინსტრუქციის პუნქტ 10 ჩამოთვლილ დოკუმენტების საფუძველზე. შემსრულებელი ავსებს ტექნიკურ პასპორტს „საცხოვრებელ სახლზე“ და „შენობაზე“.

12. ძირითადი გამოკვლევა ადგილზე გამოიხატება შემდეგში:

ა) შემოწმებული იქნას მიწის ნაკვეთის ნაგებობების შესაბამისობა გეგმებთან;

ბ) საცხოვრებელ და დამხმარე შენობების საეზოვე შენობების და ნაგებობების დათვალეირება და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების და მთლიანად შენობის ცვეთის პროცენტის დადგენა;

გ) საბინაო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი, ტექნიკური პასპორტის 8, 9 და 10 თავების მონაცემების მიხედვით შენობათა ნაწილების კონსტრუქციული ელემენტების და მოწყობილობის შერჩევითი შემოწმება;

დ) არსებულ საინვენტარიზაციო გეგმებში მიმდინარე ცვლილებების შეტანა.

13. ბრიგადირის მიერ შესრულებული აზომვითი და კამერალური სამუშაოების სისწორის შემოწმების შემდეგ, ტექნიკური პასპორტები შეთანხმებული უნდა იქნეს სახლმმართველობის წარმომადგენელთან და დამტკიცებული ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს უფროსის (მთავარ ან უფროს ინჟინერის) და საბინაო ორგანოების მიერ.

14. შენობების დათვალეირებაში ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკურ მდგომარეობის და ცვეთის პროცენტის განსაზღვრაში, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მუშაკებთან ერთად უშუალო მონაწილეობას ღებულობენ საბინაო ორგანოების მუშაკები.

15. სასოფლო რაიონის ცენტრებში, სადაც მანამდე ტექნიკური ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, საბინაო ფონდის ტექნიკური პასპორტიზაციის დაწყებამდე, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები ატარებენ ყველა შენობების ნაგებობების და მოწყობილობების ტექნიკურ ინვენტარიზაციას, კომსაწარმოთა კომბინატებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

16. საცხოვრებელი სახლების შემოწმებისას და ტექნიკური პასპორტის შედგენისას საჭიროა მტკიცე ხელმძღვანელობა შემდეგი განსაზღვრებით:

— საცხოვრებელ სახლათ ითვლება საცხოვრებელი შენობა, რომელიც განლაგებულია მეზობელ ნაკვეთებისაგან განცალკევებულ მიწის ნაკვეთზე, სამილიციო ცალკე ნომრით, მასში მდებარე დამხმარე შენობებით, ნაგებობებით და კეთილმოწყობის ელემენტებით — განსაზღვრულ საზღვრებში.

— შენობა ეწოდება ცალკე მდგომ ნაშენს ერთ ან რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარს, რომლებიც შეადგენენ ერთ მთლიანს.

მთლიანობის ნიშნებათ ითვლება:

ა) საერთო კედელი და საძირკველი და ნაწილებს შორის კავშირი, მიუხედავად მათი დანიშნულებისა და მასალისა;

ბ) ერთ შენობის ნაწილებს შორის კავშირის უქონლობის შემთხვევაში მთლიანობის ნიშნათ შეიძლება ჩაითვალოს შენობის საერთო დანიშნულება, კედლების მასალის ერთგვაროვნება კიბის საერთო უჯრედი, ერთიანი არქიტექტურული გაფორმება;

— დამხმარე შენობათ ითვლება ნაკვეთზე ძდებარე მომსახურე შენობები, მაგალითად: სარაია, საქვაბე, სამრეცხაო, გარაჟი და სხვა.

საცხოვრებელი სახლების სართულები იმასთან დაკავშირებით, თუ რა დონეზე მდებარეობენ ტროტუარის ნიშნულთან შედარებით. განისაზღვრებიან;

თ) მიწის ზედა, როდესაც სათავის იატაკები განლაგებულია ტროტუარის ან მოკირწყვლის ნიშნულზე ან მის ზევით;

გ) ცოკოლის (ნახევარსარდაფის), როდესაც სათავის იატაკები განლაგებულია ტროტუარის ან მოკირწყვლის ნიშნულის ქვემოთ, არა უმეტესი ამ სათავის სიმაღლის ნახევრისა;

გ) სარდაფის, როდესაც სათავის იატაკები განლაგებულია ტროტუარის ან მოკირწყვლის ნიშნულის ქვემოთ, სათავის სიმაღლის ნახევარზე მეტით.

შენიშვნა: ტროტუარის ან მოკირწყვლის ნიშნული განისაზღვრება საშუალოდ, ტროტუარის ან მოკირწყვლის ცალკეული ნიშნულების მიხედვით შენობის კუთხეებში ან ნაკვე-

თის მნიშვნელოვანი ქანობების შემთხვევაში — შენობის
ცალკეული ნაწილებისათვის ცალ-ცალკე.

საცხოვრებელი სახლის სართულიანობა განისაზღვრე-
ბა მიწის ზედა სართულების რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნები: 1. მანსარდები მიწის — ზედა სართულებად არ
ჩაითვლება.

2. სართულიანობის განსაზღვრისას, მიწის ზედა სარ-
თულებად ჩაითვლება ცოკოლის სართულები, თუ ცოკო-
ლის სართულის გადახურვის ზედაპირი მდებარეობს
ტროტუარის დონის ზევით არანაკლები 2—მეტრისა.

საცხოვრებელი ფართი — განისაზღვრება საცხოვრებელი ოთა-
ხების (საბინაო ტიპის სახლებში), საძინებელი ოთახების (საერთო
საცხოვრებლებში), ნომრის (სასტუმროებში) ფართობების ჯამით.

დამხმარე ფართი — სახლის საცხოვრებელი ნაწილისა განისა-
ზღვრება, როგორც დანარჩენი სათავსების ფართობების ჯამი.

სასარგებლო ფართი — სახლის საცხოვრებელი ნაწილისა განი-
საზღვრება როგორც საცხოვრებელი და დამხმარე ფართობების
ჯამი.

სათავსების ფართობების ზომები განისაზღვრება ტექნიკური
ინვენტარიზაციის ბიუროს მასალების საფუძველზე.

17. ბარაკებზე და დასანგრევ საცხოვრებელ სახლებზე ტექნი-
კური პასპორტები არ სდგება.

III. ტექნიკური პასპორტიზაციის ჩატარების

სამუშაოების რიგითობა და დამთავრების ვადები

18. პირველ რიგში უნდა ჩატარებული იქნას ძველი ტიპის
განაშენიანების ე. ი. 1957 წლის 1-ლ იანვრამდე აშენებულ საბი-
ნაო ფონდის ტექნიკური პასპორტიზაცია (სამუშაოების დამთავრე-
ბის ვადა არაუგვიანეს 1968 წლის 1-ლ ნოემბრისა).

მეორე რიგში ახალი ე. ი. კვარტალური განაშენიანების სახ-
ლები — 1957 წლის 1 იანვრის შემდეგ აგებული (დამთავრების
ვადა 1968 წლის 15 დეკემბერი).

IV. ტექნიკური პასპორტის შევსების წესები



1. პირველ გვერდზე შეიტანება აღნიშვნები მიმდინარე ცვლილებების და შენობების საერთო დათვალიერების შესახებ. ძირითად ე. ი. პირველად ტექნიკური პასპორტიზაციისას ეს გრაფები არ შეივსება.

მეორე გვერდზე ნაკვეთის სქემატური გეგმები უნდა დაერთოს ამონახაზის სახით. კალკაზე ან შუქ-მგრძობიარე ქაღალდზე, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბარათის გეგმიდან ან კვარტალის გეგმიდან. ნაკვეთის სქემატური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს პასპორტიზაციის ჩატარების დროის მდგომარეობას.

გ ა ნ ა ო ზ ი ლ ე ბ ა I

მიწის ნაკვეთის საერთო ცნობები

20. ცნობები გაშენებულ და გაუშენებელ ფართობების შესახებ აიღება ტექნიკური აღრიცხვის ბარათის 6 და 20 გრაფებიდან.

თუ შემოწმების დროს აღმოჩენილი იქნება მიწის ნაკვეთის ან დამხმარე ნაგებობების შემადგენლობაში ცვლილებები, ეს ცვლილებები უნდა გატარდეს რეგისტრაციაში და შეტანილი იქნეს საინვენტარიზაციო საქმეში. ამავე დროს კვარტალის გეგმაში და ექსპლიკაციაში.

ყველა ფართობები ნაჩვენები უნდა იქნეს მთელ მეტრებში.

მონაცემები მწვანე ნარგავების შესახებ შეტანილი უნდა იქნას ადგილზე შემოწმების შედეგად.

21. ახალი განაშენიანების კვარტალში, სახლმფლობელობების საზღვრები ნაჩვენები უნდა იქნას სახლმმართველის ან საბინაოსაექსპლუატაციო კანტორის უფროსის მითითებით და გეგმაში შეიტანება პუნქტირით. უნდა ედევნოს თვალყური, რათა მეზობელ სახლების (სახლმფლობელობის) პასპორტიზაციის დროს, ასეთი წესით დაწესებული საზღვრები არ შეიცვალოს.

მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე განლაგებული შენობები და ნაგებობები და სამუშაოთა მოცულობის ნუსხა

22. მონაცემები შეივსება თანამიმდევრობით ტექნიკური ინვენტარიზაციის დროს მიღებულ ლიტერების მიხედვით;

კვარტალური განაშენიანების დროს, ანდა თუ ერთ ნაკვეთზე მოთავსებულია ერთ საცხოვრებელ სახლზე მეტი, პირველად იწერება ძირითადი (საცხოვრებელი) სახლები, მხოლოდ შემდეგ დამხმარე შენობები და ნაგებობები.

საცხოვრებელ სახლებზე ივსება მხოლოდ 1 და 13 გრაფები. სხვა შენობებზე და ნაგებობებზე 19-დან 27 გრაფები (ჩათვლით) ივსება სახლმმართველობების ან საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების მონაცემების მიხედვით. ან უშუალოდ სახლმმართველობების საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების) მიერ, რის შესახებ ანდა ცვლილებების შეტანის შესახებ, შემდგომში უნდა ეცნობოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს.

ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა III

ნაკვეთის მიერთება ქსელებთან

23. მონაცემები ნაკვეთის ქსელებთან მიერთებების შესახებ ივსება ტექნიკური ინვენტარიზაციის საქმის მონაცემების მიხედვით.

ყველა ჩანაწერები წარმოებს პირველ სტრიქონში, დანარჩენი სტრიქონები განკუთვნილია მომხდარ მიმდინარე ცვლილებების ჩასაწერად.

ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა IV

ნაკვეთის კეთილმოწყობის ამალღების ღონისძიებები

24. 1—4 გრაფები შეივსება სახლმმართველობების (საბინაო საექსპლუატაციო კანტორების) მიერ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გვერდითი გამაფრთხილებელი რემონტის დებულების შესაბამისად. (თავი 6, გვ. 92).

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა V



ჩანაწერები ნაკვეთის, საეზოვე შენობების და ნაგებობების ექსპლუატაციისას დაშვებული დარღვევების შესახებ

25. ძირითადი პასპორტიზაციის დროს V განყოფილება არ შეივსება.

ჩანაწერებს ნაკვეთის, საეზოვე შენობების და ნაგებობების ექსპლუატაციისას დაშვებული დარღვევების შესახებ აწარმოებენ ზემდგომი ორგანოები.

ტექნიკური პასპორტი შენობაზე

26. შენობის ტექნიკური პასპორტი შეივსება ყოველ ცალკეულ შენობაზე ცალცალკე.

შენობების ტექნიკური პასპორტის შევსებისას, საჭიროა ამ ინსტრუქციის მე-7 პუნქტით ხელმძღვანელობა. კვარტალურ განაშენიანების შემთხვევაში „საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ პასპორტს“ დაერთვის „შენობის ტექნიკური პასპორტი“. კვარტალში განლაგებულ შენობათა რაოდენობისაგან დამოკიდებით.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა VI


აღნიშვნები შენობის მიმდინარე ცვლილებების და საერთო დათვალიერების ჩატარების შესახებ

27. ამ განყოფილებაში ჩანაწერები წარმოებს ტექნიკური პასპორტიზაციის ჩატარების შემდეგ — საბინაო ორგანიზაციების მიერ, შენობის ექსპლუატაციის პროცესში. ტექნიკური პასპორტის მეორე მხარეს უნდა დაეწებოს შენობის ფსაადების ფოტო-სურათები ზომით 13×18 სმ. ძირითადი პასპორტიზაციის ჩატარებისას ფსაადების ფოტოსურათის გადაღება სასურველია, მაგრამ არაა სავალდებულო.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა VII

საერთო ცნობები საცხოვრებელი შენობის შესახებ

28. ამ განყოფილებაში მოყვანილია შენობის დამახასიათებელი საერთო ცნობები. მონაცემები შეივსება საინვენტარიზაციო საქ-



მის ტექნიკური აღრიცხვის ბარათის მიხედვით და ზუსტდება აღ-
გილზე.

29. პირველ პუნქტში აღინიშნება შენობის დანიშნულება კონსტრუქციის მიხედვით. შერეულ შენობებში დანიშნულება განისაზღვრება უმეტესი ფართობების მიხედვით, მხოლოდ პუნქტ 2 იწერება შენობის ფაქტიური გამოყენება, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში განსხვავდება შენობის დანიშნულებისაგან.

30. მესამე პუნქტში იწერება აშენების წელი. თუ შენობა აშენებულია 1921 წლამდე და მისი აშენების წელი არაა ზუსტად ცნობილი, უნდა ჩაიწეროს „1921 წლამდე“ და აშენების საორიენტაციო თარიღი ფანქრით.

თუ შენობა აშენებულია 1921 წლის შემდეგ, მაშინ აშენების წელი უნდა დაზუსტდეს და ჩაიწეროს.

31. მე-4 და 18 პუნქტები შეივსება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ საბინაო ფონდს (სახლმმართველობების, საბინაო საექსპლუატაციო კანტორების და სხვ. მიერ).

32. დანარჩენი პუნქტები შეივსება ამ ინსტრუქციის II თავის მე-16 მუხლში აღნიშნულ მითითებების გათვალისწინებით.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა VIII

ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური აღწერილობა და მდგომარეობა, სარემონტო სამუშაოების ნუსხა და მოცულობა

33. ეს განყოფილება ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანობის მიერ შეივსება სახლმმართველობის, საბინაო საექსპლუატაციო კანტორების და სხვა იმ ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით, რომლებიც აწარმოებენ საბინაო ფონდის ექსპლუატაციას, ამ ინსტრუქციის პირველ განყოფილების მე-6 პუნქტის მითითებების გათვალისწინებით. ამასთანავე ორგანიზაციებმა, რომლებიც აწარმოებენ საბინაო ფონდის ექსპლუატაციას, უნდა იხელმძღვანელონ სსრკ სახმშენის მიერ 1964 წ. 8. IX — დამტკიცებულ „დებულებით საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გეგმიური გამაფრთხილებელი რემონტის ჩატარების შესახებ“ (დანართი 1) მათთვის წინასწარ გამოყოფილ ფორმების მიხედვით.

საინჟინერო მოწყობილობა, მისი ტექნიკური მდგომარეობა და სარემონტო სამუშაოების მოცულობა. სარემონტო სამუშაოების ნუსხა და მოცულობა სათავსოების მიხედვით

34. პასპორტის მე-9 და მე-10 განყოფილებებზე ვრცელდება ამ ინსტრუქციის მე-8 განყოფილების მე-33 მუხლის მითითებები. ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ცვეთის განსაზღვრის სამუშაოების გასაადვილებლად, ამ ინსტრუქციას თან ერთვის ამონაწერი „დებულებიდან საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გეგმიური-გამაფრთხილებელი რემონტის ჩატარების შენახებ (დანართი № 1).

35. სასოფლო რაიონულ ცენტრებში, სადაც შენობების ტექნიკური ინვენტარიზაცია ტექნიკურ პასპორტიზაციამდე არ ჩატარებულა, საბინაო ან კომუნალურ ორგანოებს შეუძლიათ VIII, IX და X განყოფილების სამუშაოები დაავალონ ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანოებს ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწესებულ ფასებში, ამ სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებით.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა XI

შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და ცვეთის პროცენტის განსაზღვრა

36. ტექნიკური პასპორტის ეს განყოფილება შეივსება უშუალოდ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მუშაკების მიერ, იმ ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობით, რომელიც აწარმოებს საბინაო ფონდის ექსპლუატაციას.

ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების ცვეთის პროცენტის განსაზღვრისას, საჭიროა ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ 1954 წ. 4 აპრილის დამტკიცებული „შენობების საინვენტარიზაციო ცვლილებების მიმდინარე რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დანართი 2-ით ე. ი. „ნიშ-

ნებით შენობების და კეთილმოწყობის ობიექტების ნაწილების ცვე-
თის პროცენტის განსასაზღვრელად“.

შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და ცვე-
თის პროცენტის განსაზღვრა უნდა მოხდეს ძირითადი კონსტრუქ-
ციული ელემენტების ყოველმხრივი დათვალიერების შემდეგ, ვი-
ნაიდან ამ განყოფილების მონაცემების მიხედვით უნდა გადაწყდეს
საკითხი სახლის ამა თუ იმ სახის რემონტის ჩასატარებელ შენო-
ბათა სიაში შეტანის და აგრეთვე 1969—1970 წლების კაპიტალური
რემონტის გეგმის პროექტის შედგენის დროს — სახლის პირ-
ველი თუ მეორე რიგის სამუშაოთა სიაში შეტანის შესახებ.

XI განყოფილების შევსების სისწორეს ადგილზე ამოწმებს
ტექნიკური ინვენტარიცაზიის ბიუროს მთავარი (უფროსი) ინჟი-
ნერი ან ბრიგადირი.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა XII

დასკვნა რემონტის და კეთილმოწყობის გაუმჯობესების საჭიროების შესახებ

38. ამ განყოფილებას ავსებენ კომგანყოფილებების, კომსა-
წარმოთა კომბინატების ან საბინაო სამმართველოების მთავარი ინ-
ჟინერები, რის შემდეგ წარდგენილი უნდა იქნას განსახილველად
ზემდგომი ორგანოების წინაშე, სახლის ამა თუ იმ სახის რემონტის
სიაში შეტანის შესახებ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა XIII

ჩანაწერები შენობის ექსპლუატაციაში დაშვებულ დარღვევების შესახებ

39. შენობის ექსპლუატაციის დროს დაშვებულ დარღვევების
შესახებ ჩანაწერები წარმოებს ზემდგომ ორგანიზაციების ან კო-
მუნალური ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ; სახლის
რიგითი, ან რიგ-გარეშე დათვალიერების დროს შემჩნეული დარ-
ღვევების და ექსპლუატაციის პროცესში, მათი ლიკვიდაციის ღო-

გ ა ნ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა XIV

**სარემონტო სამუშაოების ღირებულების შეჯამებითი
უწყისი და რემონტზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.**

40. სარემონტო სამუშაოების შეჯამებითი უწყისი და რემონტზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვის მონაცემები ივსება წლების მიხედვით, საბინაო ფონდის ექსპლუატაციის გამწვევი ორგანიზაციების მიერ, წლის დასაწყისში, გასული წლის საბუღალტრო ანგარიშ-შიანობის მონაცემების საფუძველზე.

41. ტექნიკური პასპორტი ხელმოწერილი უნდა იქნას შემსრულებლის, შემმოწმებლის (თანამდებობის ჩვენებით), ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს უფროსის და საბინაო საექსპლუატაციო კანტორის ან სახლმმართველობის წარმომადგენლის მიერ და დადასტურებული ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ბეჭდით.

42. ტექნიკური პასპორტის შედგენისას სამუშაოს უშუალოდ შემსრულებლები ყველა შავ ჩანაწერებს აწარმოებენ ტექნიკური პასპორტისათვის სპეციალურად შედგენილ, საწერ ქაღალდზე დაბეჭდილ ფორმის მიხედვით, ორ დედანისაგან განსხვავებით, რომლებიც იბეჭდება სახაზავ ან საბარათო ქაღალდზე, რომელთა გამოყენება შავ ჩანაწერებისათვის არ დაიშვება.

პასპორტის დედანში ჩანაწერები წარმოებს შავი ტუშით, გარკვეული ხელით.

მიმდინარე ცვლილებების შემდგომი ჩანაწერები საბინაო ორგანოებში მყოფ პასპორტის დედანში შეიძლება წარმოებდეს მეღონით. ეს ჩანაწერები შემდგომი წლის დასაწყისში, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში მყოფ დედანში წარმოებს საბინაო ორგანოების მონაცემების მიხედვით შავი ტუშით.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : დანართები აღნიშნულ ინსტრუქციას არ ერთვინ.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის
საინჟინტროს ტექაღრიცხვის და ინვენტარიზაციის
განყოფილების უფროსი **ა. ელდიგაროვი**

- 3]

ფ. 31/67.



Министерство коммунального хозяйства Грузинской ССР

Инструкция

по технической паспортизации жилищного фонда
местных Советов депутатов трудящихся

(На грузинском языке)

ტირ. 1000.

შეკვ. № 839

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფბრეწველობის თბილისის სტამბა № 4

Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати